# სახალხო გაზეთი

№ 815 ოთხშაბათი, 6 თებერვალი 1913 წ. № 815

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მ ღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვით განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 5. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“, 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ქალაქში 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



## ქართული თეატრი
### კვირას 10 თებერვალს,
### იუბილეი
# ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილისა

ის ბილეთები, რომლებიც დაკვეთილი იყო დაჯარ წაილეს, დღეიდან იყიდება თეატრის კასაში. იუბილეის მომწყობი კომიტეტი. 1206

## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელს-ც „გაზეთს ექნება
### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი

1) უცხოეთის მწერლები (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა — კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა და სხვათა.
2) ქართველი ერის ისტორია, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლელი ფასი — ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. 40 კაპ.

დანარჩენ შ მთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთის“-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2. ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდ № 48.
## კოტე ს. მესხის ბენეფისი.
ხუთშაბ., 7 თებერვალს, ქართ. დრამ. საზ. დას. მიერ დამსახურებულ მსახიობის კ. ს. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენ. იქნება ვას. აბაშიძის მონაწილეობით გ ნთქმული პიესა ვ. სარდუსი
### მადამ სანჟენი
4 მოქმ. თარგ. კ. მესხისა.
იმპერატორ ნაპოლეონის როლს შეასრულებს კ. მესხი.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბერიშვილი, გოგოლაშვილი, თოიძე, ცარგარეთელი, ქიქოძე, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: აბაშიძე, არდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შ ნშიაშვილი

დასაწყ. სწორედ სად. 8 ს ადგილების ფასი საბენეფისოა.
1040 რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | 50 | კ. |
| ბავშვის მოვლა ნათაძისა | 25 | „ |
| „ „ კომბიხა. ნათ. მახაბ. | 40 | „ |
| დედაკაცის ხვედრი | 15 | „ |
| მშობლები და მათი შვილები — როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ | 30 | „ |
| ჩვენს ქალებს. შტარის წერილები | 20 | „ |
| სამი მსხვერპლი. დ. კარიჭაშვილისა | 30 | „ |
| აკაკის საიუბილეო კრებული | 25 | „ |
| Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ | 70 | „ |
| Эскизы и Этюды. И. Хонэли | 1 м. | |

მიღებულია ახალი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ | 50 | „ |
| Нетронутый уголокъ. Ведребисели | 60 | „ |
| მცენარენი და ცხოველები ვ. რცხილაძისა | 40 | „ |
| ვლადიმერ ხარ ალექსი-მესხიშვილი. ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა | 50 | „ |

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

დილის 9—10 ს. ღარიბების მ ღება უფასოდ.
დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა
იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდნ. კ. ბებუთოვის ქ. № 23 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. 7—98. 97.

ცეცხლისაგან დამაზღვევ საზოგადოების „ვოლგას“
აგენტად დაინიშნა
### გიორგი ნიკოლოზის-ძე შუღლაძე
ნაცვლად გრიგორ ივანის ძე თოიძისა, რომელმაც აღარ ისურვა განეგრძო აგენტობა.
სააგენტო მოთავსებულია ... არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლში, ერევნის მოედანზე, პუშკინის ქუჩის და შუაბაზრის კუთხეში 96.

## ტფილისის ქ ლაქის გამგეობა
მოუწოდებს იმ პირთ, ვის ცა ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის დაწესებულებათათვის 1913 წელს საოჯახო ნივთ ბის მისაწოდებლად
### საჯარო შეციღებაში
1 განყ. ცოცხები ოთ ხისა და ეზოს საგველ, ძვ ლი მეშოკები, სხვა და სხვა ხვეული ქსოვილები, ნახ ჭრ., ფეხთ-ს ფენები, იატაკის საწმენდი, ტილოები, ჯარისკაცთა მაუდეული, ჭილოფები, სხვა და სხვა ჩოთქები. სულ 3,000 მ.ნეთისა.
2 განყ. ჩიდონები, ვედროები, რკინის ნ ბები. ბა ის სარწყავი ვედროები. დანები, ხერხები, ცულები, კლიტეები, ლურსმ ბი, თოკები, ფალასები, მაუდის ნაკუწები, სელი, შპ გატ ბ, კარბოლის სიმჟავე, საღებავები, წებო, სახამებელი, თვლების საპოხი, ნაირ ნაირი საპონი, ს თელი სულ 5,000 მანეთისა.
3 განყ. შერია, ქატო, ბზე, ქერი, ქერის ფქვილი. სულ 3,000 მანეთისა.
მოც ლეობაში მონაწილეობ ს მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ ბე: 1 განყ.— 150 მან., მე-2 განყ.—250 მ., მე-3 განყ.—150 მ.
ვისაც ამ მოც ლეობაში მონაწილეობ ს მიღება ჰსურს, მოვალეა ეს ბე წარადგინოს გამგეობის კასაში და ამასთანავე შეიტანოს განცხადება გადაჭრილ ფასების აღნიშვნით, დაბეჭდილ კონვერტით, ქალაქის გამგეობის 1 განყოფილებაში მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე დილის 10—3 საათამდე. 104.

## მიიღება ხელის მოწერა
### ყველა ჟურნალ-გაზეთებზე დ. სამტრედიაში
ქ. შ. წ.-კითხვის წიგნის მაღაზიაში. აქვე შეიძლება ყველა №-ის შეძენა. სოფლის მკითხველებს ეთმობათ № 4 კ. 1042

## ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ხანიკოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის ხიდის ახლო,
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 ხაწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით საშუალო განყოფილება.
ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2. მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. მამალაშვილი ... (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ფირალიშვილი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და ბავშვთა სნეულებანი | ექიმი-ქალი გერბიცკა-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. ხულხაჯიანი ბ ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოვ დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვულ. სნეულ. და ელექ. | გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11. დავითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2. ფონდოევი, გ. ხ. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის, ცხვ. | ათემიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½ ორემბოვსკი ნ. ხ. (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ხ. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კანის ვენერ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ., სამშობიაროები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესაფერისი საშუალებით. წ. 1335

## ბაღოსნობა
### ძმ. ავსარქისოვებისა
ხად. სკრაში (კავკ. რკ. გზა).
ჰგზავნის ხეხილის ნერგებს საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და სამკაულო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელ-მისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 93

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ელექტრონისა და რენტგენის
## სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1142

## ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

## ექიმი ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

## საგურთალოზე
მშვენიერ ადგილას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელ-მისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანცისა. წ. 1020

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გახსნა. მანის რეაქციით სისხლ. ათაშანგ. მომწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ ქ., № 31. კიროჩნი ქუჩის ახლო, ... 132

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვულის კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.
იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 5—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ... ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა ... ს. ... 


# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ტფილისში გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მსახიობი ქალი ბარბარე ნებიერიძისა. განსვენებული 15 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულს სცენას და ეკუთვნოდა იმ მუშაკთა გუნდს, რომელთაც ერთგულად და ჩუმად უყვართ საკულტურო საზოგადო საქმე. რადგანაც განსვენებულს არავითარი ნივთიერი სახსარი არ დარჩა, მისი დასაფლავება თავის ხარჯით იკისრა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ. დასაფლავება მოხდა გუშინ. ცხედარი დილით გამოასვენეს საკუთარ ბინიდან (პრიუტის ქუჩა, № 9) სამების ეკლესიაში, სადაც გადაიხადეს მიცვალებულის წირვა. აქედან წაასვენეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც დაკრძალეს. კუბოს ამკობდა გვირგვინი დრამატიულ საზოგადოებისაგან. დასაფლავებას დაესწრნენ: დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი, ქართველი მსახიობნი, პრესის წარმომადგენელნი და სხვა პატივისმცემელნი განსვენებულ მსახიობ-ქალის ხსოვნისა.

✦ პოლიტეხნიკუმი. დ. ვ. ბეზობრაზოვმა თავი დაანება მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის საქმის წარმოების გამგეობას. მის ადგილას მოიწვიეს ქალაქის საბჭოს საპოლიტეხნიკუმო კომისიის თავჯდომარე თ-დი გ. მ. თუმანოვი.

✦ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს გამო ქალაქის გამგეობამ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, 300 მან. გადასცა სახალხო წითხვათა ტფ. საზოგადოების თავჯდომარეს ა. ს. ბაზოვს 21 თებერვალს სახალხო სახლში სახალხო კითხვადა გასამართავად ბუნდოვან სურათებით.

✦ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა ხარაზიანმა მესამე და მეოთხე უბანში 4 თებერვალს ოქმები შეუდგინა მეპურეებს: ციხისელს, ლებანიძეს, გოგლიძეს და ხუდლაშვილს, რომელთაც მესამე ხარისხის პური გამომცხვარი არა ჰქონდათ.

✦ ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

✦ უხვი შეწირულება. ბარბარე ვასილის ასულმა თამამშევისამ შესწირა: წითელის ჯვრის საავადმყოფოს — 500 მან.; კავკასიის სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას — 500 მან., მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას (მოხუც მასწავლებელ ქალთა თავშესაფარისთვის) — 100 მ., სომეხ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას 200 მან. და კავკასიის სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებულ სამასწავლებლო ფონდს 200 მან.

✦ საბირჟო ცნობები. 5 თებერვალს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ — 85 მ. 40 კ., აძლევენ — 84 მან. 85 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ — 83 მან., აძლევენ — 82 მ. 25 კ.; ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ 77 მ. 80 კ. აძლევენ — 77 მ. 20 კ.

✦ ლექცია. 4 თებერვალს რუსულ კლუბში გრაფმა ს. კოვვადიმ ლექცია წაიკითხა ბერძნულ ენაზე: „მოკლე ისტორია საბერძნეთისა 1821 წლიდან დღემდე“. ლექციის შემოსავალი ტფ. ბერძენთა საზოგადოებას გადაეცა. ფულს საბერძნეთში გაგზავნიან ავადმყოფ და დაჭრილ ჯარის-კაცთა სასარგებლოდ.

✦ მეფის მოადგილის მეუღლემ გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისამ ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამგეობას გაუგზავნა 284 მან. 60 კ. ეს ფული შეუგროვებია ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა სინოდს აბასთუმანის სანატორიის სასარგებლოდ.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ყრუ-მუნჯი ლეონტი სირბილაძე.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება ქალაქის გამგეობის სადგომში. კომისია განაგრძობს მოხსენების განხილვას ქალაქის სასალახოს რევიზიის შესახებ.

## ქუთაისი

✦ ქუთაისის ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლების გამგეთ დირექციისაგან ქაღალდი მოუვიდათ, რომ სწავლის წესი 81 წლის სამოსწავლო გეგმით აწარმოვონ. მაგრამ გაკვეთილების ნუსხაში, წლის მეორე ნახევრიდან ქართული ენის გაკვეთილები მაინც კიდევ შემცირებულია ერთი-ორით და ამის ნაცვლად ერთი თუ ორი გაკვეთილი რუსული ენისაა მომატებული.

✦ ქუთაისის მცხოვრებს, ივანე ჩერნიკოვს, რომელსაც მუსიკალური და ნოტების მაღაზია აქვს, საინტერესო რამე გამოუგონია, ეგრედ წოდებული „გიტარა პროგრესი“. ერთხელვე აწყობილს, მომართულს აღარ

ბიბლიოთეკა

დასჭირდება გასწორება. ჰაერის მდგომარეობა იშვიათად ახდენს მასზე გავლენას, სიმები ერთ სასურველ ხმაზე დარჩება რამდენს ხანსაც სასურველია.

◆ ამ ახლო ხანში გარდაცვალებულს **ეკატერინე ფიფინაშვილისას** შვიდასი თუმანი უანდერძებია ღარიბი სტუდენტების სტიპენდიებისათვის და სამი მანეთიც ქუთაისის სასწავლ. ღარიბ. მოწაფეთა დასახმარებლად.

◆ 13 თებერვალს ოლქის სასამართლოში დანიშნულია **კ. რიჟამიძის საქმე.** მას ბრალდება 1906 წ., როცა იგი სასამართლოს მოლარედ იყო, ექვსი ათასი მანეთის გაფლანგვა. ამ ჟამად იგი თავდებ ქვეშაა.

◆ ქუთაისის საოლქო სასამართლომ დემურა (იგივე ისააკი) **ლომთათიძეს** ათი წლის კატორღა მიუსაჯა თავდასხმისთვის. მალე რუსეთის საკატორღო ციხეში გაიგზავნება.

◆ ომიანობის გამო ოსმალეთის მთავრობა კავკასიაში **აბრეშუმის თესლს** არ ჰგზავნისო. ტფილისის საბრეშუმო სადგურზე წინათ ორასი-სამასი ათასი მისხალი თესლი შემოდიოდა, ახლა კი მხოლოდ 50,000 მისხალი თესლი შემოიტანესო. („იმერ.“)

◆ 1 თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია **ქუთაისის სატუსაღოს მეთვალყურე ჟორჟოლიანის საქმე,** ამავე სატუსაღოში, სამსახურის ასრულების დროს რევოლვერით ტუსაღის მოკვლისათვის. მოწმეთ გამოწვეული იყო ციხის უფროსი ბ. ჩაფსკი, მისი თანაშემწე, სატუსაღოს ექიმი და სხვა მეთვალყურენი, რომლებმაც განაცხადეს ჟორჟოლიანი სამსახურს კარგად ასრულებდა, ტუსაღებს მისთვის რევოლვერის წართმევა უნდოდათ და მან თავი დაიცვა იმით, რომ მოკლა ერთი ტუსაღიო. სასამართლომ ჟორჟოლიანი მაინც დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ყოველივე ღირსება-უფლების ახდა და სამი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ქიქოძე.

◆ **ოზურგეთის ფოსტიდან ფულების გატანის საქმე.** 1911 წელს, ოზურგეთში, ფრიად მოულოდნელი ამბავი მოხდა. ადგილობრივ რევიზია გაუკეთეს და დააპატიმრეს ფოსტის უფროსი ნიკო საყვარელიძე და ასათიანი. ასათიანი მოხუცებული მოხელე იყო, მასთან დიდად ნდობა დამსახურებული, ოზურგეთის ბობოლათა წრეში მიღებული. ამისათვის იმის დაჭერას ყველა რაღაც გაუგებრობას აწერდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაოცება, როცა ასათიანი მის საწინააღმდეგოდ წამოყენებულ ბრალდებაში გამოტყდა და აღიარა, რომ ის ნამდვილ უწყობდა ოზურგეთის ფოსტიდან ყალბი საბუთებით ფულების გატანის საქმეს. ამ რიგად სხვა და სხვა დროს გაუტანიათ 128.000 მან. ზოგი წინად და ზოგი შემდეგ დააპატიმრეს ასათიანის ამხანაგებიც. ამ საქმეზე დღეს დაპატიმრებულნი არიან: ნ. ს. ასათიანი, ლავ. მ. მგელაძე, ს. ქ. ჯაყელი, ქიქოძე, თალაკვაძე, თაყაიშვილი, ჯაყელის ცოლის ძმები (ორი ბერძენი) და სხ. ეძებენ ქარცივაძეს. ამათგანი ზოგი მეტეხში ზის და ზოგი ქუთაისში. საბრალმდებლო ოქმი უკვე ჩააბარეს. ეს ფრიად საყურადღებო საქმე მალე გაირჩევა.

◆ კვირას, 3 თებერვალს, რადიუმში ნაფიც ვექილის თანაშემწემ **რ. არსენიძემ წაიკითხა ლექცია:** „დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ **კუს ავადმყოფობასთან მებრძოლმა საზოგადოებამ,** ქუთაისის ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა ხელმოსაწერი ფურცელი თავის დაწესებულების მოსამსახურეთა შორის შემოწირულების მოსაკრებად. ამ საზოგადოებას ჰსურს დაარსოს „კლინიკა“ ამ საშინელ სენთან საბრძოლველად.

◆ ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოების **„პროგრესი“-ს** კოოპერატიულ მაღაზიაში ვაჭრობა თანდათან მატულობს. უკანასკნელ დღეებში ვაჭრობა 35—100 მანეთამდე ადის და ეს მაშინ, როცა მცირე თანხის გამო მაღაზიაში ჯერ კიდევ არ მოიპოვება ყველა საგნები. საზოგადოებაში წევრთა რიცხვი უკვე 400-მდე ასულა. წევრებზე დარჩენილი პაის ფული 1700 მანეთამდეა. გამგეობაში ყოველ დღე შემოდის განცხადება განაპირა უბნებში განყოფილების გახსნაზე. ამ საკითხს ამ დღებში საზოგადო კრება განიხილავს.

◆ მოსკოვის სატუსაღოდან, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში მოიყვანეს **„ბარონი“ როზენი,** რომელსაც ბრალდება ყალბი საბუთებით ხაზინიდან 18 ათასი მანეთის გამოტანა („მერც.“).

### ბათომი

◆ **„ბათუმის გაზეთი“** გამოვა ხუთშაბათობით და კვირაობით.

### სოფლად.

◆ **სოფ ალი** (ქართლი). 30 იანვარს მომრიგებელი მოსამართლე გ. ვეზირიშვილის თანადასწრებით სოფელ ალის საზოგადოების ყრილობამ მამასახლისად ხელმეორედ აირჩია გაბრიელ გონგლაძე.

◆ **აბაშა.** კვირას 10 თებერვალს დანიშნულია აბაშის მომხმარებელი საზოგადოების „ანგარიში“-ს წევრთა საგანგებო კრება. განსახილველია: 1) საზოგადოების პასუხის გება კრედიტორობიდან, 2) როგორ პირობებში შეიძლება ნისიობა; 3) გამგეობისა, და საბჭოს წევრების დამატებითი არჩევნები; 4) ახალ წევრთა მიღება; 5) ონტოფოში და ნაესაკოვოში განყოფილების გახსნა და სხვა.

◆ **სოფ. ვაყა** (ქართლი). ქართლის აგრონომმა ე. კარბელაშვილმა 2 თებერვალს საღამოთი ადგილობრივ სასწავლებლის შენობაში წაიკითხა ორი **ლექცია:** 1) „პურის თესლის გაკეთება“ და 3) „ხელით და მანქანით თესვა“ დასურათებული ბუნდოვანი სურათებით. ლექციებს დაესწრო 20-მდე მსმენელი.

◆ **სოფ. აძვისი** (ქართლი). ქართლის აგრონომმა ე. კარბელაშვილმა წაიკითხა 3 თებერვალს ორი **ლექცია:** „სათესლე პურის გაკეთება“ და „ხელით და მანქანით თესვა“. დაესწრო ასამდე მსმენელი.

## მეფის მოადგილის მოხსენება

მეფის მოადგილემ სენატში წარადგინა მოხსენება ქუთაისის თავად-აზნ. დეპუტატთა საკრებულოს რევიზიაზე.

მოხსენებაში მეფის მოადგილე იუწყება: ქუთაისის გუბერნატორის მიერ წარმოდგენილ სარევიზიო კომისიის ოქმიდან სჩანს, დეპუტატთა საკრებულოში ფულის ანგარიშის არევ-დარევა.

ამის გამო, 351 და 377 მუხ. ძალით IX ტ., მეფის მოადგილე თხოულობს რევიზიის დანიშვნას.

ობერ-პროკურორმა აღნიშნა, რომ არც გუბერნატორმა და არც მეფის მოადგილემ არ ისარგებლეს უფლებით, რომელსაც ანიჭებდა მათ 377[1] მუხ. IX ტომ. ეს კი გამოარკვევდა დეპუტატთა საკრებულოს რომელი პირი იყო დამნაშავე ამ საქმეში, რაც საქმის მიმართულებას მსვლელობას მისცემდა. რევიზიის დანიშვნის შუამდგომლობა, ობერ-პროკურორის აზრით, შეწყნარებული არ უნდა იყოს, რადგანაც, თანახმად 245 მუხ. სენატ. უწყ. რევიზიის მოხდენა ევალება სენატორებს უმაღლესი ბრძანებით.

სენატს შეუძლიან აღძრას საქმე ცალკე დამნაშავეთა წინააღმდეგ, მაგრამ, რადგანაც 377[1] მუხ. ვერ იქნა გამოყენებული, ამისთვის საქმის აღძრა შეუძლებელია.

სენატი დაეთანხმა ობერ-პროკურორის აზრს და დაადგინა: მეფის მოადგილის მოხსენება ნაადრევია, ვიდრე უმაღლესი მთავრობა არ განახორციელებს, კანონის მიერ ბოძებულ უფლებასაო („რეჩი“).

## ტფ. ქალაქის საბჭო

### 4 თებერვლის კრება.

კრება საღამოს 9 საათზე დაიწყო ქალაქის მოურავ ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

კრებამ დაამტკიცა წინა კრების ოქმი.

**ა. ი. ხატისოვი.** დღევანდელ კრების განსახილველ საგანთა სიაში შეტანილია ქალაქის გამგეობის მოხსენება საპოლიტეხნიკუმო ადგილის ნაჭრებად დაყოფის შესახებ. ამ მოხსენების განხილვის გადადება საჭიროა დაახლოვებით ერთის თვით, ვიდრე მთავარი საპოლიტეხნიკუმო კომიტეტი პოლიტეხნიკუმის პროექტსა და გეგმას საბოლოოდ არ შეადგენს და მოიწონებს. როგორც იცით, ქალაქმა პოლიტეხნიკუმს 200 დესეტინა შესწირა. ამ მიწიდან 50 დესეტინა თვითა პოლიტეხნიკუმისთვის არის არჩეული, ხოლო 150 დესეტინა უნდა გაიყიდოს. ამ ჟამად მთავარი კომიტეტი იმ საკითხს არკვევს, შესაძლებელია თუ არა, რომ პოლიტეხნიკუმი იმ ადგილას არ ააშენონ, სადაც განზრახული იყო და ქალაქს მოუახლოვონ. ამას გარდა უნდა გაცნობოთ, რომ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომც გაბაშვილებს 100 დესეტინის შეწირვის სურვილი განეცხადებინოთ, სიმართლეს მოკლებულია. ასეთი განცხადება არც მე და არც მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტს არ მიუღია. რამდენადაც ვიცი, გაბაშვილებს სურვილი აქვთ, შესწირონ საბურთალოზე სულ 30 დესეტინა, რაც პოლიტეხნიკუმისათვის საკმარისი არ არის.

გამგეობის წევრი თ-დი **ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.** ხმ. კეილი ამას წინად შეგვეკითხა, ვისი ნებართვით აშენებს ვინმე გალუსტოვი სახლს მეორე პეტროვის გასასვლელში. როგორც გამოვარკვიეთ, გალუსტოვს ქალაქის გამგეობისაგან ნებართვა არა ჰქონია აღებული, რის გამოც 7 იანვარს ხელწერილი ჩამოვართვით, შენობის აგება შეეჩერებინა. ამის შემდეგ გალუსტოვს შენობა მაინც დაუმთავრებია. ახლა წინადადება მივეცით, შენობა დაუყოვნებლივ აიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონიერ ღონის-ძიებათ მივიღებთ.

ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის წევრად, ნაცვლად გარდაცვალებულ ქიარიმ-ბეგ ვექილოვისა, ხმ. სულხანოვი აირჩია.

ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის წევრად, ნაცვლად ქიარიმ ბეგ ვექილოვისა, საბჭომ კენჭის ყრით (41 თეთრი და 1 შავი) პოლკოვნიკი იბრაგიმ-აღა ვექილოვი აირჩია, რომელმაც მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს მაჰმადიანთა სასწავლებლებს.

ცნობილ სამხედრო ისტორიკოს ვ. ა. პოტტოს ძეგლის ასაგებად საბჭომ 150 მან. გადასდო. ეს ფული უნდა შეიტანონ 1914 წლის ხარჯთაღრიცხვაში.

**საჩივარი ბელგიის უსახელო საზოგადოებისა,** რომელიც 1911 წელს ქალაქის გამგეობას 3,110 მან. დაუჯარიმებია გაულაქავ ვაგონების გამოშვებისთვის, საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა.

თხოვნა ქალაქის მოსამსახურე ქალის, აწ გარდაცვლილ შავერდოვის დედისა, რომელიც ქალაქისაგან ნივთიერ შემწეობას თხოულობდა, საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა, თანახმად ქალაქის გამგეობის მოხსენებისა.

ჯერი მიდგა **გამგეობის წევრის არჩევნებზე** ნაცვლად გ. დ. ჟურულისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა. კანდიდატი მხოლოდ გ. დ. ჟურულია. განსახილველ საგანთა სიაში ეს საკითხი ასეა შეტანილი: **„8. გამგეობის წევრის გ. დ. ჟურულის არჩევა, ნაცვლად ჟურულისა, რომელმაც სამსახურის ვადა გაათავა.**

**ა. ი. ხატისოვი.** ვიდრე არჩევნები მოხდებოდეს, უნდა გადასწყდეს საკითხი: რა ჯამაგირი მიეცეს გამგეობის წევრს (გ. დ. ჟურული იღებდა 3,600 მან. წლიწადში).

ა. ი. ხატისოვი ჯაჭვს იხსნის. თავჯდომარეობას ეწევა **ხმ. მ. ვ. ლუნკევიჩი,** რომელიც ამგვარ შემთხვევებისთვის ქალაქის საბჭოს თავჯდომარედ არის არჩეული.

საბჭომ კენჭის ყრით გადასწყვიტა, მიეცეს ჯამაგირი 4,000 მან. წლიწადში, ე. ი. იმდენი, რამდენსაც გამგეობის დანარჩენი წევრები იღებენ.

თავჯდომარეობას კვლავ ა. ი. ხატისოვი შეუდგა.

ყუთი დაუდგეს ერთად-ერთს კანდიდატს გ. დ. ჟურულს, რომელმაც 59 თეთრი და არც ერთი შავი კენჭი მიიღო.

**გ. დ. ჟურულმა** მადლობა გადაუხადა ხმოსნებს ასე ერთსულოვან არჩევისათვის და აღუთქვა, შეძლების დაგვარად გამართლება იმ დიდის ნდობისა, რომლითაც იგი შემოსეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი მაგალითი იყო ასეთ დიდს ადგილზე ერთხმაც არჩევისა. წინანდელ მაგალითებიდან აღსანიშნავია ქალაქის მოურავად არჩევა თ-დ ვ. ნ. ჩერქეზიშვილისა, რომელსაც მხოლოდ ორი შავი კენჭი ამოუვიდა.

დასასრულ საბჭომ განიხილა საკითხი: მისცეს თუ არა ნება ფუნიკულერის საზოგადოებას ქვედა სადგურამდე ტრამვაის შტო გაიყვანოს. საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია როგორც შტოს მიმართულებისა, ისე საერთოდ ამ გზის საჭიროების გამო. საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: ამ საკითხის განხილვა გადასდოს იმ დრომდე სანამ არ გადასწყდება საკითხი მთელის ტრამვაის წარმოების გამოსყიდვის შესახებ. ტრამვაის გამოსყიდვის უფლება ქალაქს აქვს 1914 წელში.

## ქართული საღამო ბაქოში

2 თებერვალს ბაქოში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო წ. კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილების სასარგებლოდ. რიცხვით ეს საღამო ოცდა-მეორე იყო. საღამოს დიასახლისობდა თავად დადიანის მეუღლე კნ. თამარ.

საღამოს, როგორც ყოველთვის, დიდძალი საზოგადოება დაესწრო, უმთავრესად ქართველობა იყო. ბაქოს რაიონის ქართველთაგან მგონი არავინ დაჰკლებია. იყო გარეშე ხალხიც, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც წინად ესწრებოდა. უწინ, რამდენიმე წლის წინად, ქართულ საღამოს უმთავრესად გარეშენი ეტანებოდნენ, მაგრამ ეხლა საღამოებს სხვა ერის წარმომადგენელნიც მართავენ თავიანთ კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოდ, ამიტომ ეხლა ყველა საუმჯობესოდ სცნობს, თუ ლუკმა გავარდება, ისევ საკუთარ ჯამში ჩავარდესო. წლევანდელ საღამოს შემოსავალმა (ხარჯიანად) ოთხი ათას მანეთს გადააჭარბა.

# ი. გრიშაშვილი და მისი „ოცნების კოცნა“

„ყვავილთ ტბაში დავიბადე,
მეოცნებე, მოლივლივე,
„ჰაეროვან კოცნამ მშობა,
კოცნამ მომცა ყოველივე“.

ასე იწყება გრიშაშვილის ლექსი „ოცნების კოცნა“, რომელიც შეადგენს სულს მისი პოეზიისას. ეს ის ლექსია, რომლითაც ვიგებთ მის სულის შინაარსს. ასეთი ლექსები მოიპოვება ყოველ პოეტის შემოქმედებაში, ერთი ან რამდენიმე, რომელიც გვაძლევს გასაღებს მისი სულის სალაროში შესასვლელად, გასაცნობად. ასეთია გრიშაშვილის ლექსი „ოცნების კოცნაც“. დიაღ, თვით კოცნის ნაშობია გრიშაშვილი და მისი პოეზია. ის კოცნის ხან ტკბილი ნექტრით, და ხან კი მწარე გესლით არის გაზრდილი. ის თვით „ოცნების კოცნის“ განსახიერებაა. ის „ოცნების კოცნის“ მგოსანია, მისი ქურუმი. ის „ოცნების კოცნას“ უძღვნის გუნდრუკს სურნელოვანს, მას უძღვნის ქებათა ქებას, მას უთხზავს ნაღვლიან ოდას. დიაღ ნაღვლიანს. გრიშაშვილი უპირველესად პოეტი ოპტიმისტია, თუმცა მის ოპტიმიზმს აჩრდილივით თან სდევს სევდა-ნაღველი, პესიმიზმი. გრიშაშვილს უყვარს ეს ქვეყანა მთელის თავისი არსებით. ის „ფერად ოცნებით“ დასთამაშებს ყვავილებს, ის „დღეის იმედით“ არის გატაცებული, ის სიცოცხლის განსახიერებაა. გრიშაშვილს შეუძლიან ჰეინეს სიტყვები თავის თავზე გაიმეოროს, და სთქვას: „მე მოჩვენება არა ვარ, და არც მკვდარი ლეში; ჩემს ძარღვებში სისხლი სდუღს და გადმოდუღსო“.

მკითხველი, რომელიც ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენ ახალ მწერლობას, უსათუოდ შეამჩნევდა, რომ ჩვენი ახალგაზდა პოეტები ერთ ხმაზე გალობენ, ერთი მეორეს ჰბაძავენ, პოეზიას აერთფეროვანებენ. არსებობს ერთგვარი „იარლიკი“, რომელიც აკრავს ჩვენი ახალგაზდა მგოსანთა უმეტესობას. ეს გახლავთ ერთხმოვანი გოდება, მწარე ჩივილი, ჩივილი დაუსრულებელი. გარდა ამისა წაბაძვა უფრო დიდ სწერლებისა, სენად არის ქცეული. ამ შემთხვევაში კი ამ საზოგადო „იარლიკის“ ქვეშ მომწყვდეულ პოეტთა რიგიდან, განცალკევებულად სდგანან რამდენიმე ახალგაზდა პოეტი, და მათ შორის გრიშაშვილიც, რომელმაც სხვებზე მეტი ორიგინალობა გამოიჩინა, და ამ ახალ პოზიციაზე მაგრა გაჩერდა.

„სევდის ბაღი“ ჩვეულებრივი მოვლენაა, „ოცნების კოცნა“ კი უცხო ხილია ჩვენს მწერლობაშიო“—ამბობს ი. ვართაგავა. დიახ უცხო ხილია, და ამით განისაზღვრება გრიშაშვილის ორიგინალობა. ის მაგრა გაჩერდა გადაუხვევლად ერთხელ არჩეულ გზაზე, მიუხედავად ყოველგვარ გაკიცხვის იმ პირთაგან, რომელნიც შესჩვევიან ერთფეროვნებას, და რომელთ მდგარ ცხოვრებას ოდნავ მაინც არხევდა და აღელვებდა გრიშაშვილის ორიგინალური, მათ ყურისათვის უჩვეო სიმღერა.

გრიშაშვილი უმღერს სიყვარულს, კოცნას, შურს სიყვარულისას. თუმც ეს საგნები ისეთივე ძველია, როგორც თვით ქვეყანა, მაგრამ რა არის ახალი ქვეყნად რომ ეს იყვეს? ყველაფერი ძველია, და მაშასადამე ნაწარმოების აზრიც, საგანიც. ახალია მხოლოდ ფორმა, რომელშიაც აყალიბებს ამა თუ იმ აზრს, ესა თუ ის მწერალი, თუ მას აქვს ნამდვილი ნიჭი მხატვრული შემოქმედებისა. ამ მხრივ კი გრიშაშვილი სავსებით სრულია. ის ვირტუოზია ფორმათა სამეფოში. ამ მხრივ თითქმის მას არა ჰყავს ბადალი ახალ მწერალთა რიგში. ლამაზია მისი ენა ისე, ვით მისი გულის ღმერთი „ოლოლ“, რომლისადმი სიყვარულის ისარსაც მძლედ ეწონება ეს ტრფობის მგოსანი. მსუბუქია, ვით „მთის ცელქი სიო“, რომელიც „მხიბლავ ზღაპარს ეუბნება“, ბ რომელიც „მის თვალის ჩინს, ნორჩს, უსუსურს უწეწავს თმებს, ღალალებს“. ნაზია, ვით „ყვავილთ ფშინვა“, ვით თვით „ოცნების კოცნა“. გულს-ჩამწვდომია მისი ლექსი, ვით „კვნესა ჩანგის“, რომელიც ჰქმნის ჰიმნს სიყვარულისას. ძლიერია ვით თვით მგოსნის სიყვარული, რომელსაც ზვარაკად ეწირება და რომლის გულისთვისაც ჰსვამს „შხამგესლს ქვეყნიურს“.

საგანი გრიშაშვილის პოეზიისა მრავალმხრივია, და შინაარსიანი. მხოლოდ კონუსივით, ყოველი საგანი მისი პოეზიისა ერთ ადგილს იკრიფება, და გარს ეხვევა უმთავრეს საგანს მისი პოეზიისას. ეს საგანია სიმშვენიერე-სილამაზე. მხოლოდ ეს სილამაზის კულტი კი არ მოუწყვეტია გრიშაშვილს ცხოვრებიდან, და არ განუყენებია; არა, მისი ქნარი ცხოვრების სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებზედაც ხმასა სცემს, კვნესის, წკრიალებს. ამისთვისაა გრიშაშვილის პოეზია შინაარსიანი, რეალური, ცხოვრებასთან დაახლოვებული.

**„ხელოვნება, რომელიც ემსახურება მხოლოდ სილამაზის კულტს, თავის უმაღლეს მწვერვალებზე ადვილად ჰკარგავს შემაერთებელ ძაფს ცვალებად და სიცოცხლით სავსე ცხოვრებასთან; ადვილად ხდება უშინაარსო, აბსტრაქტიულით*)“,** ამბობს პროფ. **გრესსი.** მაგრამ გრიშაშვილის პოეზიაზე ეს არ ითქმის, რადგან გრიშაშვილი თავისი პოეზიით, თვით ცხოვრებაა ხორც-შესხმული, განსახიერებული. როგორც ვსთქვით, გრიშაშვილის პოეზიის უმთავრესი საგანი სილამაზის კულტია. ამ სილამაზის განსახიერება კი მისი სატრფოა, რომლისთვისაც სთხზავს ჰიმნს სიყვარულისას, რომლისთვისაც ცრემლად დნება, რომელიც სულზე უტკბესია, რომელიც შეადგენს მის იმედის სხივს, მის სალოცავს, რომელზედაც „ლოცულობს და იბრუნებს სულს“. მისთვის იწვება ვით სანთელი ეს „ალერსის“ მგოსანი, მისთვის დნება ვით ყინული მზის სხივებ ქვეშ. სატრფოა დედაღერძი მისი პოეზიისა, რომელსაც გრიშაშვილის ლექსთა ბადე გარს ეხვევა, ეალერსება, სთხოვს სიყვარულს, თანაგრძნობას. მაგრამ გრიშაშვილის სატრფო ამ ქვეყნიური უბრალო არსება კი არ არის, არა. ეს ზე-ქალია, წმიდა ვით ანკარა მთის წყარო, და უმანკო ვით მტრედი. ეს სულიერ და ხორციელ სილამაზის განსახიერებაა. ეს მშვენიერების სამეფოს დედოფალია და გრიშაშვილიც ამ სილამაზეს ემსახურება, რადგან ის ესთეტია, მხოლოდ სუბიექტიური. მის შემოქმედებაში, მშვენიერება-სილამაზე, სუბიექტიური პსიხოლოგიური ფაქტია, ღრმა ინდივიდუალური, და სწორედ აქ არის მისი სისუსტე. მისი სუბიექტიური გრძნობა-შემეცნება სილამაზისა, ჩვენგან სჩრდილავს, ჰფარავს თვით სილამაზეს, მშვენიერებას, როგორც ობიექტიურ არსს, როგორც საგანთა ობიექტიურ ფორმას ბუნებაში. როცა ჰხატავს თავის სატრფოს, ისეთ ფერადებს ხმარობს, რომელნიც მისთვის ნათელია, ჩვენთვის კი ჰინდით მოცული. მას თუმცა სამაგალითო მხატვრობითა აქვს აღწერილი თავისი სატრფოს სხვა და სხვა მხარეები, მაგრამ ერთიანი სურათი ვერ წარმოგვიდგინა, ვერ გვაჩვენა. ვერ დაგვანახვა მშვენიერების იდეალი, როგორც მთლიანი ერთეული. გრიშაშვილი თუმცა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავის სატრფოს გარეგანი და შინაგანი სილამაზე გადმოგვცეს, და ამისთვის მთელი ბუნების წიაღიდან ჰკრეფს ფერადებს მის სიმშვენიერე-სილამაზის დასახატად, მაგრამ ამ ქმნილების დროს, ის ღრმა სუბიექტივიზმს იჩენს, და ნახატიც უფრო სუბიექტიური გამოდის, ვიდრე ობიექტიური.

„შენ ხავერდის ყვავილი ხარ, ხან
ტკბილი და ხან კი მწვავე,
„შენ ნუკრი ხარ, ლაღი ნუკრი,
ტბის გულ-მკერდზე მოცეკვავე,
„შენ ხარ რწმენის სამლოცველო,
გამოუცნობ გრძნებით სავსე,
„შენს წიაღში მგოსნის სული, ჩა-
ვაქსოვე, მოვათავსე...
„შენს თვალებში ვსჭვრეტ სამოთხეს, **ვსჭვრეტ განთიადს ვსჭვრეტ
ბნელ ღამეს,**
„შენს თვალებში ტალღას სძინავს,
ტალღას მშვიდს და მოკამკამეს;
„შენს თვალებში ჰფეთქს სიცოცხლე, ვეძებ აზრებს თავისუფალს,
„შენს თვალებში **ვხედავ ჩემს ღმერთს, სულის კერპს და გულის
უფალს.**
(ლექსი „ოლოლ! ოლოლ!)

ჰხედავთ როგორი მდიდარი და მრავალფეროვანი ფერადებით სავსე პალიტრა უჭირავს მგოსანს ხელში, და ჰხატავს სურათს? მაგრამ შიგ თავის სულს აქსოვს, და მით უკარგავს ობიექტიურ სისრულეს. აქ მომქმედი პირი თითონ არის. მისი სატრფო მხოლოდ მაშინ არის ლამაზი, მისი თვალები მხოლოდ მაშინ არიან წარმტაცნი, როდესაც თითონ ჰხედავს შიგ „თავის ღმერთს, სულის კერპს და გულის უფალს“ ამით კი სილამაზის ობიექტიურობა ფერს ჰკარგავს, იბინდება; სუბიექტიური ელემენტები კი წინ იწევენ, ნათდებიან. ესთეტიური ნაწარმოები კი უფრო ობიექტიური უნდა იყვეს, რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულოს. მისი დანიშნულება კი ცხოვრების გაუმჯობესება და ამაღლებაა. მან უნდა აამაღლოს ადამიანი სულიერად, ადამიანზე უნდა იფიქროს, რადგან მის გარეშე მას ფასი არა აქვს.

როგორც ლამაზი ქანდაკება,—ეს უბრალო ნივთიერების საგნის გამშვენიერებაა, როგორც ლამაზ ფორმაში ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული, ისე პოეზიამ საზოგადოდ უნდა გაალამაზოს და გაამშვენიეროს ადამიანი სულიერად. ამაშია მისი ნამდვილი და უტყუარი დანიშნულება. და პოეზია ხომ ესთეტიკის ნაწილია. ესთეტიკა კი გვიხატავს სილამაზეს, რომელიც უკეთეს მერმისის სიმბოლოა.

**„კაცობრიობის ცხოვრებაში, სილამაზე არის მხოლოდ სიმბოლო უკეთეს მერმისის, წუთიერი ცა-სარტყელა ჩვენი ქაოტიურ არსებობის შავს ფონზეო“,** — ამბობს **ვლად. სოლოვიოვი***).

ჩვენი პოეტიც ამ მიზანს ემსახურება, მხოლოდ უგრძნობლად. მას არ დაუსახავს მიზნად ობიექტიურ სილამაზის, როგორც უკეთეს მერმისის სიმბოლოს მსახურება, არა. მას თავისი ღრმა ინდივიდუალური განცდა აქვს სახეში, ის ამოძრავებს, ის იწვევს შემოქმედებისაკენ. და რამდენადაც ასეთის გზით ჰქმნის მშვენიერებას, და თავის ინდივიდუალობაში ალამაზებს სიყვარულს, ტრფობას, იმდენად იგი ზემო აღნიშნულ მიზანს უგრძნობლად ემსახურება. შეგნებულად კი თავის პირად განცდას გვიზიარებს.

როგორც ვსთქვით, უმთავრესი საგანი გრიშაშვილის პოეზიისა, ზექალია. იმან ფანტაზიით შექმნილ-ზექალს ესროლა ბადე ოცნების, რადგან აქ, ამ ქვეყნად მან ვერვინ ჰპოვა ღირსი წმიდა სიყვარულისა და ტრფობისა. მან ამ ქვეყნად ვერ განასახიერა ის იდეალი, რომელიც მის გრძნობა-გონებას ჰქონდა ჩაქსოვილი. თუმცა ბევრჯელ იქმნა ამ ქვეყნად მოხიბლული, თუმცა ბევრჯელ აუტოკეს გული და ააწკრიალეს მის გულში ჩამარხულ სიყვარულის ჩანგის სიმი, თუმცა ბევრჯელ ეგონა რომ აჰა „ვიპოვე იმედის გემი“ ტალღებთა შორის ობლად მცურავიო, მაგრამ ეს მოხიბლვა მხოლოდ გარეგან მოხიბლვად რჩებოდა. შიგნიდან კი გველი გამოიჭვრეტდა ხოლმე. ამ ქვეყნიური არსნი მას ჰხიბლავდნენ გარეგნობით ისე,

„ვით ნამი ვარდის კუკურს,
„გაიტაცებს გასაშლელად,

შემდეგ კი, როდესაც უკვირდებოდა მათ შინაარსს, მაშინ მოტყუებულად დარჩენილი, მხოლოდ კბილთა ღრჭენით უკიოდა ჩას:

„გიცან ცბიერო, მაგრამ კი გვიან,
„აღარ მიყვარხარ, მორჩა, გადა-
წყდა“,—ან
„აღარ მიყვარხარ, წადი გამშორ-
დი“.

*) Проф. Грессъ „Объ эстетикѣ“.

*) Соловьевъ т. VI, стр. 228.

სამწუხაროდ, საღამომ ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, როგორიც მოსალოდნელი იყო. უმთავრესი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საღამო ძალიან გვიან დაიწყეს. დასაწყისად ცხრა საათი იყო გამოცხადებული. ხალხი შეიკრიბა, დარბაზი გაიჭედა: ათის ნახევარზე უკვე ყველა თავის ადგილზე იჯდა და მოუთმენლად ფარდას შეჰყურებდა. მაგრამ საათ-ნახევარი გავიდა, ვიდრე ფარდა აიხდებოდა. ყველას გული გაწყალებია და ადვილი წარმოსადგენია, რომ ამის შემდეგ უპირველესი ნაწარმოებიც ვეღარ მოჰხიბლავდა საზოგადოებას. დაგვიანების მიზეზად ბევრ რამეს ასახელებდნენ. სხვათა შორის, სცენის მოყვარეთა დაუდევრობას. პირველად უნდა დაედგათ მუსიკალური ზღაპარი კ. ფოცხვერაშვილისა „პირი-მზე". ცოცხალ სურათების მოსაწყობად ტფილისიდან მოწვეული იყო მცოდნე და გამოცდილი რეჟისორი ა. წუწუნავა. სურათებისთვის რთული და ძნელი გრიმები იყო საჭირო, მაგრამ ზოგიერთა სცენის-მოყვარეებმა გვიან ინებეს მობრძანება. ამ მიზეზით იძულებული გახდნენ დანარჩენი სურათები გამოეტოვებინათ. იმავე სცენის-მოყვარეებმა როლები არ იცოდნენ: სუფლიორი ისე გაჰკიოდა, რომ მისი ხმა გძელ დარბაზის უკანასკნელ რიგშიაც კი მკაფიოდ ისმოდა.

საღამო ფოცხვერაშვილმა მოაწყო და თითქმის მთლად მისი ნაწარმოებებისაგან შესდგებოდა: „თქმულება ამირანზე", „კერპთა დამსხვრევა", ხალხური ზღაპარი და სხვა, რასაც ქართველი საზოგადოება უკვე კარგად იცნობს. ფოცხვერაშვილს დიდი შრომა დასჭირდა ორკესტრისა და ხოროს შესადგენად, — ბაქო ძალიან სუსტია მუსიკურის ძალებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მცირე ხანში მაინც საკმაოდ შესძლო როგორც ორკესტრის, ისე ხოროს მომზადება. სამწუხაროდ, ნაგვიანებათ საღამოს დაწყებამ მასაც ხელი შეუშალა: საჭირო შეიქნა აჩქარება; ამას გარდა, თორმეტ საათიდან დაწყებული ბევრნი მოქმედების დროს დგებოდნენ და მიდიოდნენ შინ. ყველა ამან, რასაკვირველია, გავლენა იქონია როგორც დირიჟორზე, ისე დამკვრელ-მომღერლებზე.

საზოგადოდ კი შეცდომად მიგვაჩნია ასეთ ერთ-ფეროვან საღამოს გამართვა, ერთ-ფეროვან იმ მხრით, რომ საღამო მთლად ორკესტრისა და ხოროს ნომრებისაგან შესდგებოდა. ქართულ საღამოებზე ბაქოში ათასი ჯურის ხალხი იკრიბება, ამიტომ შინაარსის მხრივ სხვა-და-სხვაობაა საჭირო. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, ფოცხვერაშვილისთვის ერთი განყოფილება დაეთმოთ, ორ სხვა განყოფილებაში კიდევ სხვა რამე მოეწყოთ.

საკონცერტო განყოფილების შემდეგ დარბაზში გაიმართა ევროპიული და ადგილობრივი ცეკვა.

# მოწერილი ამბები

**ს. დიდი თონეთი.** არა ერთხელ დაგვიწერია ჩვენს მხარეზე, რომ აქ არავითარი გონების განმავითარებელი დაწესებულება არ არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში წვრილ სასოფლო სკოლებს ბავშვებისათვის. აქეთ არსად არ არის სამკითხველო და არც საკვირაო სკოლები. თუმცა თონეთელებს შეუძლიათ დღევანდელ მასწავლებლის ხელში დაიარსონ ერთიც და მეორეც; დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებელი დიდის სიამოვნებით და უსასყიდლოდ ასწავლის მსურველთ კვირა-უქმეობით წერა-კითხვას. სამკითხველოს დაარსება კი თუ ჯერ-ჯერობით ადრეა, მაინც მასწავლებელს, მღვდელს და სხვა ვინც წერა კითხვა იცის შეუძლიათ სკოლის შენობაში უამინდობის დროს, კვირა-უქმე დღეებში ხალხს უკითხონ სხვა და სხვა წიგნაკები, ცოტა თი მაინც შეაფერხებს მომეტებულ ფულის ხარჯვას დუქნებში. წიგნებზედ კი ნურავინ იდარდებს ვინაიდგან აქ როგორც მღვდელს კ. კაკასიძეს ისე წერა-კითხვის საზოგადოების წიგ. მაღაზიაში ნამყოფ მოსამსახურე ზაქ. შავშიშვილს მრავალი სხვა და სხვა წიგნები აქვს და რამდენიმე ცალი თვითეულ თხზულებისა, მაგ. როგორც ილია ჭავჭავაძისა, აკაკისა ნინოშვილისა და სხვათა მწერალთა. მაგრამ ყველა ამას მეთაური სჭირია; იმედია, ადგილობრივი მასწავლებელი ბ. ლომიძე თავს იდებს და მოაგვარებს როგორმე ამ საქმეს ბნელ ხალხისათვის.

**კოტე ფასანაურელი.**

# საკანონმდებლო დაწესებულებებში

**დეპეშები.**

რომანოვთა საგვარეულოს 300 წ. დღესასწაულის აღსანიშნავად სათათბიროში დაარსდა კომისია. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ოქტომბრისტი **ვარუნ-სეკრეტი**, თავმჯდ. ამხანაგად ნაციონ. ლავროვი, მდივნად პროგრ. კარაულოვი. კომისიამ მოისმინა დღესასწაულის აღსანიშნელი წინადადებები. ეპ. ანტონიმ განაცხადა მემარჯვენეთა სახელით, აშენონ პეტერბურგში დიდი ტაძარი. კრუპენსკიმ სთქვა, რუსის ქვეშევრდომნი მარტო მართლმადიდებელნი არ არიან. საჭიროა ისეთი რამე შევქმნათ, რაც ყველას ერთ გრძნობით შეაკავშირებსო. ცენტრის ჯგუფის აზრით საჭიროა დაარსდეს რომანოვთა ფონდის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და რუსის ხალხის ეკონომიურად გასაღონიერებლად. გრ. ბენიგსენიც წინააღმდეგია ტაძრის აგებისა. ოქტომბრისტებს შეაქვთ წინად დება დაარსონ მუზეუმი, სადაც შეკრებილი იქნება ყოველ-ნაირი მასალა, რაც რომანოვთა გვარს შეეხება. სხვა ფრაქციებს წინადადება არ შეუტანია.

რომანოვთა გვარეულობის დღესასწაულის აღსანიშნავად სათათბიროს კომისიამ უცვლელად მიიღო მთავრობის მიერ შეტანილი პროექტი, **გადასდონ 484.999 მ.** სადღესასწაულო ხარჯის გასასტუმრებლად. დღესასწაულის აღსანიშნავად მემარჯვენენი თვის წინადადებას იცავენ. ნაციონალისტებმა გამოსთქვეს სურვილი დაარსონ სანატორიუმი ყირიმში და კავკასიაში ქლექიან ავადმყოფთათვის. ცენტრის ჯგუფი თხოულობს დაარსონ რომანოვთა ფონდი მილიარდი მანეთით, მიწათ-მოქმედების გასაუმჯობესებლად. მოსკოვში მოეწყოს საისტორიო მუზეუმი. ოქტომბრისტები წინადადებას იძლევიან, დაარსონ საისტორიო მუზეუმი პეტერბურგში, უმაღლესი სპედაგოგიო ინსტიტუტი. პროგრესისტებს სასურველად მიაჩნიათ გახსნან 90 სამასწავლებლო ინსტიტუტი და დაარსონ სამღვდელო ფონდი. კადეტებმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ ყოველ გვარ საკულტურო-განმანათლებელ საქმეს რომანოვთა დღესასწაულობის აღსანიშნავად.

# მუშათა შორის

**მზრუნველი ლექტორები.**

მოსკოვის მექარხნეები უეცრივ განიმსჭვალნენ მუშათა სიყვარულით და მოიწადინეს მათი განვითარება. ამისთვის მათ მოიწვიეს სპეციალისტი ლექტორები. ლექტორების მიზანია აუხსნან მუშებს მუშათა დასაზღვევი კანონები. რასაკვირველია ეს „დაქირავებული" მზრუნველი ლექტორები ისეთ განმარტებას მისცემენ მუშებს, როგორც „დამქირავებელთათვის" იქნება. ხელსაყრელი საბედნიეროდ მუშები არა სტყუვდებიან, აღარ აართვეს. მოსკოვში ცინდელის ქარხანაში მუშებს 3 ლექცია წაუკითხეს.

პირველმა ლექტორმა ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა დასაზღვევ კანონების შექებაში, ისე ზედმეტი, რომ მუშებმა დარბაზი მიატოვეს და ლექტორის ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". მეორე ლექციაზე მუშებმა დარბაზი კი არ მიატოვეს, მაგრამ თავისთვის გამოიყვანეს მუშა, რომელმაც ლექტორის ყოველივე დებულება დაარღვია. მუშამ დაუმტკიცა ლექტორს, რომ ახალი კანონები, მრეწველთა და კაპიტალისტთა სასარგებლოდ არის გამოცემული.

**პუტილოვის ქარხანაში გაფიცულთა დაჯარიმება.**

26 იანვარს პეტერბურგის ქალაქის უფროსმა ბრძანება გასცა დააჯარიმონ პუტილოვის ქარხნის მუშები წესიერების დარღვევისათვის. ჯარიმა 200 მანეთი უნდა გადაიხადოს მუშა პეტრუსევიჩმა, 100 მანეთით დაჯარიმებულია 10 მუშა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი ექვსი კვირით, ან ერთი თვით ციხეში უნდა ჩასხდნენ.

**„ლაფერმის" ამხანაგობის ნაწარმოებთა ბოიკოტი.**

რადგანაც „ლაფერმის" ამხანაგობის თამბაქოს ქარხანაში მუშა და მექარხნეთა შორის განხეთქილება ჰსუფევს და ვერას გზით ვერ მორიგებულან, ვიტერსსტრანდის სალითონო ქარხნის 60 მუშამ ბოიკოტი გამოუცხადა „ლაფერმის" ამხანაგობის ნაწარმოებთ.

**რუსეთის სააქციონერო ამხან. ქარხანა პოსელია.**

გაიფიცნენ მხოლოდ ერთი სახელოსნოს მუშები. დანარჩენნი მუშაობენ.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

4 თებერვალი.

**კავშირის დარღვევის ნიშნები.**

**სალონიკი.** ოფიციალური ცნობები არ არის. როგორც ხმებია, სალონიკის ოლქის 3.000 ბულგარი მოხალისე ფრაკიის ჯარში წავიდა, მაგრამ სერბიის მთავრობამ აუკრძალა სერბიელების მიერ დაპყრობილ ადგილებიდან მოხალისეთა წასვლა. ამან ბულგარების უკმაყოფილება გამოიწვია. ბულგარეთის პრესა ჰკიცხავს სერბიელების საქციელს. ნახევრად ოფიციოზი „პრ ვო" მკაცრად ჰგმობს სერბიელებს, გაზეთი ამაში ჰხედავს კავშირის მომავალ ბედის სამწუხარო ნიშანს.

**ახალგაზდა ოსმალის შეპყრობა.**

**სკოპლე.** ოხრიდაში შეიპყრეს და ბელგრადში გააგზავრეს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის მდივანი ეიუბსაბრი-ბეი, რომელიც აჯანყების მოსაწყობად იყო გაგზავნილი.

**მალტა.** ოსმალეთის ჯავშნიანი გემი „ჰამიდიე" ნავთ სადგურიდან გავიდა.

**სოფია** ბულგარეთის ჯარს ჩათალჯასთან ისევ თვისი პოზიციები უჭირავს. სტამბოლის ცნობა ბულაირთან დიდ ბრძოლის თაობაზე, სრულიად მართალი არ არის. ნამდვილად, ოსმალებმა სროლა აუტეხეს ბულგარელ სანიტარებს, რომელნიც გამოვიდნენ ბრძოლის ველზე ოსმალთა გვამების ასაკრებად. სანიტარები იძულებულნი იყვნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

**ბუხარესტი.** სტამბოლიდან იტყობინებიან გალიპოპოლის ციხესთან ბრძოლის თაობაზე. საროსის სრუტეში ოსმალებმა ჯარი გადმოსხეს. გალიპოპოლსა და ბულაირს შორის დიდი სისხლის ღვრაა. ოსმალებმა დაიხიეს.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** ანტიოქიის პატრიარქმა პორტას ნებართვა სთხოვა ახლოს სულთნთან მისასალმებლად და შემდეგ პეტერბურგში გაემგზავროს რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულზე დასასწრებლად.

დიდმა ცეცხლმა აი-სოფიის მეჩეთის ახლოს გაანადგურა ასი სახლი.

**ოსმალეთის ტრანსპორტების დაღუპვა.**

ქ. როდოსტოსთან ბულგარელებისაგან ჩაწყობილ ნაღმებით აფეთქდა ოსმალების სამი გემი. ოსმალეთის ჯარის ნაპირზე გადმოსვლას, რომელიც საშინელი დამარცხებით გათავდა, ხელმძღვანელობდნენ ენვერ-ბეი და თურღუთ-ფაშა. ყარაბურუნის კონცხის ახლოს ნაპირზე გაირიყა ოსმალეთის კრეისერი „ასარი-თევფიქი", მისი გადარჩენა შეუძლებელია.

**გალიპოპოლის ჯარის უფროსი.**

გალიპოპოლის ნახევარ კუნძულზე მომქმედ, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდლად დაუნიშნავთ ქართველი მაჰმადიანი ბეხრი ფაშა.

**ბულგარელი მფრინავები სტამბოლში.**

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ყოველ-დღე ქალაქს თავს დასტრიალებენ ბულგარეთის ჰაეროპლანები და მცხოვრებთ შიშის ზარსა ჰკვრიან.

**სკუტარის ალყა.**

დღითი დღე ელიან ციხის დამხობას. სერბია ჩერნოგორიის შეერთებულმა ჯარმა განუწყვეტელი [illegible] შებით ქალაქის გალავანთან მირეკა ოსმალები. ციხის მდგომარეობა უ მედოა.

**ოსმალების დამხმარე ჯარი.**

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ შორქიოში, გალიპოლის ნახევარკუნძულზე გაიგზავნა 60.000 ჯარისკაცი, მეათე კორპუსი კი, რიცხვით 47.000 კაცი, ტრანსპორტებით გაისტუმრეს როდოსტოს ნაპირებზე გადასასვლელად.

**ოსმალების ცხენოსანთან დამარცხება.**

დერკოსის ტბის აღმოსავლეთით (შავი ზღვის ნაპირზეა) ნაპირს გადასული, ლაზების ცხენოსანი ჯარი, რომელიც ზურგიდან უნდა მოქცეოდა ბულგარელებს, იმ კუთხის შუა გულისკენ წავიდა, მაგრამ ჩასაფრებული ბულგარელები მოულოდნელად შემოერტყნენ და გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელიც ლაზების სრული დამარცხებით გათავდა. თუმცა ლაზების რაზმს შავი ზღვიდან ოსმალთა სამხედრო გემებიც ეხმარებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მთელი რაზმი პირწმინდად გასწყდა: 1700 კაციდან, 400 მოჰკლეს და 1200 დასჭრეს (მათ შორის 60 აფიცერი). გადარჩა მხოლოდ 30 კაცი. დეპეშების ცნობით, ამ ბრძოლაში თავი ისახელა კავკასიელმა აბაშიძემ (მაჰმედ-ბეგი?), რომელიც ლაზების მოხალისეთა რაზმს უფროსობდა.

**ადრიანოპოლის დამცველი.**

ადრიანოპოლის ციხის უფროსმა, განთქმულმა შუქრი-ფაშამ, უმავთულო ტელეგრაფით აცნობა თავის მთავრობას: თუ გასჭირდა, მთელი ციხეს ავაფეთქებ და მტერს კი არ ჩავუგდებ ხელში.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

4 თებერვალი.

**ბერლინი.** დღეით იმპერატორი იმპერიის კანცლერს ეთათბირა.

ცნობა, ვითომც ბულგარეთსა და რუმინიის მოლაპარაკება შესწყდა, ნაადრევია. თუმცა რუმინია ვერ დასთანხმდება ბულგარეთის წინადადებას.

**ბუხარესტი.** ბულგარეთის პასუხი გიკას წინადადებაზე რუმინიის მთავრობას არ აკმაყოფილებს.

**ლონდონი.** პარიზიდან მოსულმა რაკი-ფაშამ გრეი ინახულა.

**ლონდონი.** ჟურნალისტების კითხვებზე ხაკი-ფაშამ უპასუხა, კერძო საქმეების გამო ჩამოვიდა ლონდონში.

---

ამისთვის გადაფრინდა გრიშაშვილი ოცნების მხარეს. შეჰქმნა ოცნებით ზე-ქალი, რომელსაც ეტრფის იგი. და რომ არ შეექმნა, ოცნების საგანი მაინც არ შეეძლო, რადგან მას, როგორც ცხოვრების შვილს, მხოლოდ უფრო მგრძნობიარეს, როგორც მგოსანს, ჰქონდა მოთხოვნილება, სურვილი ალერსის, ტრფობის, სიყვარულის.

„ალერსი მინდა, ალერსით დამთვრალს,
„სიყვარულივით წრფელი და ნაზი,
„რომ გადავაწნა შენსა ნაფიქრალს,
„ჩემი ოცნება, ჩემი ექსტაზიო"
(„ალერსის ნატეხი").

დიახ, ალერსი უნდა ჩვენ „ტრფობის მგოსანს", და აქ ხომ არაფერია არა ბუნებრივი, რომ ცხოვრებასთან კავშირი არა ჰქონდეს? მგოსანს სიყვარული სწყურიან, და განა სიყვარული არ არის ის ძალა, რომელიც ამოძრავებს კაცობრიობას? (მხედველობაში მაქვს სქესობრივი სიყვარული). განა სიყვარულს არ უთხზავდნენ სადიდებელ ჰიმნს ძველ საბერძნეთში, ლესბოსის კუნძულზე ალქეოსი, საპფო და ანაკრეონი, იმ კუნძულზე, რომელიც ითვლებოდა პოეზიისა და მუსიკის კუნძულად? განა სიყვარულის ქურუმი არ იყო დანტე ალგიერი, ბეატრიჩეს მადმერთებელი, რომლისადმი სიყვარულიც იდეალად გაიხადა, რომლის სახე, ვით წმიდა ხატი გულს ჰქონდა დასვენებული სალოცავად, და რომლის ერთგულიც დარჩა სიკვდილამდე? და განა ამ სიყვარულს არ აუგო ხელუთუხლებელი ძეგლი თავის „Vita Nuova"-ში? ნოვალისი კი არ უთხზავდა სადიდებელ ოდებს სოფიო კიუნს, რომლისადმი სიყვარულის მძლეობაც უკვდავ „ღამის ჰიმნში" გამოხატა? ვერტერიც ხომ შარლოტასადმი სიყვარულში ჰლევს თავის სიცოცხლეს? განა სიყვარულის ძალით არ შეჰქმნა მიქელ ანჯელომ მშვენიერი ჯიოკონდა, რომლის ფერადებშიაც ჩააქსოვა მთელი თავისი სულიერი განცდა? განა სიყვარული არ შთაბერავდა ხოლმე და შემოქმედებისაკენ იწვევდა მგოსანთა უმრავლესობას?

დიახ სიყვარულს ბევრნი უგალობდნენ გუნდრუკს სურნელოვანს და სთხზავდნენ ლექსებს. და გრიშაშვილმაც თავისი პოეზიის საგნად ხომ სიყვარული აირჩია? მხოლოდ გრიშაშვილმა დაინახა, რომ ამ ქვეყნიური სიყვარული გაზაფხულის ზღაპარს წააგავს, რომ ამ ქვეყნიურ სიყვარულს არ ახვევია გარს სიწმინდე, სიფაქიზე, და ამისთვის მან ზე-ქალი შეჰქმნა ოცნებით, და მისი მსახურება დაიწყო. მაგრამ მან მალე დაინახა, რომ მხოლოდ პლატონიური სიყვარული მას ვერ დააკმაყოფილებდა. მას არ შეეძლო მოსწყვეტოდა ქვეყანას, ცხოვრებას, და ოცნება-ფანტაზიით შექმნილ ზე-ქალისთვის შეეწირა ცხოვრება. ამისთვის მან მოისურვა მისი ამ ქვეყნად ჩამოყვანა, მისი აქ განსახიერება, რომ მისი ტრფობა ყოფილიყო ხორცშესხმული, და არა საოცნებო, აბსტრაქტიული. მან დაიწყო ძებნა ისეთი ქალისა, რომელიც შეესაბამებოდა მის მიერ დასახულ იდეალს.

„ჰაერს ნავი გამოვსტაცე, მოვიარე კიდით კიდე, შენ გეძებდიო"

ეუბნება გრიშაშვილი ოცნებით შექმნილ სატრფოს, მაგრამ ვერ ჰპოვა. მოსძაგდა მას ეს სოფელი, რადგან არ აკმაყოფილებდა; რადგან მას არ ჰქონდა სიყვარულის საგანი, კონკრეტიული. გრიშაშვილი ურიგდება და ეგუება ამ სოფელს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას სატრფო ეგულება. აქ აყვარებს მას ამ ქვეყანას, და მას გარეშე არა სწამს ეს „ცრუ ქვეყანა. ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ გრიშაშვილი რომანტიკოს-ინდივიდუალისტია. ის მეტ წილად თავის თავზე ფიქრობს, ის მეტ წილად თავის სიყვარულზე გველაპარაკება, ის თავის გულს გვიშლის, შიგ გვახედებს, ისე რომ იგი თავის „მე"-შიაც კი შეყვარებულია. საკმარისია პატარა მიზეზი სატრფოს მხრივ, რომ გრიშაშვილმა დაჰგმოს ეს სოფელი. აი რას ამბობს გრიშაშვილი, როდესაც ჰპოვა თავისი იდეალის განსახიერება. ის სატრფოს მიმართავს:

„შენ შემაჩვიე ქამთა სრბოლას,
შენ შემითვისე,
„შენ შემითვისე, შემყვარე ცა,
ცრუ ქვეყანაო.

მაგრამ ცივი გამოდგა ამ სიყვარულის ნაპოვნი ობიექტის გული. ცივი მარმარილო გამოდგა მისი „ოლოლის" გული, რომლისთვისაც დნებოდა, იწვოდა მგოსანი:

„ოლოლ! ოლოლ! მსურს მეც ცრემლი, ცაურ ჰანგად დავაგუბო.
„მსურს ავანი იყო რწმენის, მსურს სიცოხლის იყო კუბო.
მგოსნის კუბო! მგოსნის კუბო!
(ლექსი „ოლოლ! ოლოლ!")

ვერც ამ ცეცხლის სიტყვებმა მოალბეს მისი ცივი გული, რომელიც სტოვებს მგოსანს აცრემლებულს.

„სამარადისო ძეგლს აგიგებ, დარჩი, ნუ მიხვალ,
„დარჩი ნუ მიხვალ, გევედრები ლოცვით, კურთხევითო,

აქ გრიშაშვილი მთლად ცრემლად იქცევა თავის ვედრებაში, რომ მოალბოს თავისი გულის ღმერთას მარმარილო, რადგან მას ჰსურს „განცისკროვნება ფერად იმედით"

„მსურს გადაგიხსნა ნაღველთ სამყარო,
გული უზადო; წრფელ უანგარო,
„და ტანჯვისა წილ, კაცად კაცადმა სასიხარულო ცრემლები ვღვაროვო,

ეუბნება გრიშაშვილი, მაგრამ სატრფომ, რომელმაც „უცნაურ ჰანგით მოაჯადოვა", მის ვედრებას ყურადღება არ მიაქცია, ვერ გაიგო თუ როგორი ცეცხლის გენია იყო გულში დანთებული; ვერ გაიგო თუ როგორი „სულის თრთოლვით და ცრემლებით სწერდა მგოსანი იმ ლექსს, რომელშიაც სიყვარულს, ტრფობას, ალერსს სთხოვდა, ემუდარებოდა.

„ცით მონაბერო,
„სულო ციერო,
„მსურს მშვენიერო
„სულ შენ გიმღერო,
„მსურს შენსა მკერდზე დავლიო დღენი, . . . .
. . . . , ქირიმე შენიო.

კვლავ უმეორებს მგოსანი, მაგრამ ცივ მარმარილოს გაცხოველება შეუძლებელი გახდა. გრიშაშვილის „ოლოლი" ვერ მიჰხვდა „ციურ ჰანგს", ვერ დაემყარა მის „აზრთა კიდეს", და სიყვარულისათვის წამებულ მგოსანს, ეს სიტყვები გააგონა:

„ნუ, ნუ მიმღერ ოცნების ლექსს,
შხამ ნეშტარით ნუ ივსები,
„დასცხრი გიჟო, შენ ჩემ ალერსს,
ვერასოდეს ეღირსებიო.

და ეს საკმარისი იყო გრიშაშვილისათვის, რომ მისი სული კვლავ აბობოქრებულიყო, რომ თავისი გულის წყრომა სატრფოს გულზე გადმოენთხია, და შხამ-გესლით და სინანულით აკინძული სტრიქონები მიეძღვნა „ციერ სატრფოსთვის".

ასეთნაირ წუთები გრიშაშვილის პოეზიაში ხშირია. მან რამდენჯერმე სცადა ამ იდეალის განსახიერება, იმ ზე-ქალის ოცნების მხრიდან ქვეყნად ჩამოყვანა, ხორც-შესხმა, მაგრამ რავდენჯერაც სცადა, იმდენჯერ მის გულს „მკვეთრი მახვილი" მიუძღვნეს სიყვარულ-ალერსის ნაცვლად. რავდენი ტანჯვა გამოიარა გრიშაშვილმა სიყვარულის ობიექტის, ზე-ქალის ამ ქვეყნად ძიებაში, რავდენჯერ მიუძღვნა „ალერსის კონცნა", რავდენჯერ „დაჰპირდა რომ „ოცნების გვირგვინს თავს დაგვადგავს თვით უკვდავებაო", მაგრამ ამაოდ.

„სად არის სადა, სიყვარულის ტურფა ამური?
„ვსტირი, მაგრამ ეჰ, ვერც აქ ვპოვე მე სიხალისე,
„ვსტირი ამოსკვნით, ვსტირი გულით, ოჰ ვსტირი ისე,
„ვით მწყემსის ხელში საოცნებო ხის სალამური,
„სად არის სადა! სიყვარულის ტურფა ამურიო?

დიახ! ვერსად ვერ ჰპოვა ეს „ტურფა ამური" ამ ქვეყნად, და ეს გრიშაშვილმაც გაიგო:

„ბედნიერებას ნუ ეძებ სულო,
„რომ არ არსებობს რით ვერ შეტყუე?

მიჰმართავს გრიშაშვილი თავის თავს, მაგრამ მაინც ვერ შეჩერებულა. „ოცნების კოცნა" მას არ ასვენებს, და აკი არც ისვენებს? ან და როგორ მოისვენოს, როდესაც გრიშაშვილის ცხოვრება, ეს სიყვარულის ბადეა, სადაც ეს ტრფობის მგოსანია გაბმულ გახვეული. გრიშაშვილი ვერ უხვევს გზას, ვერ დგება. მას აქვს იდეალი ზე-ქალისა, რომლის განსახე რებას კვლავ სცდილობს ჰსურს ოცნებას ხორცი შეასხას, მაგრამ ამაოდ:

„ეჰ ვინ მოსთვლის, სად არ ვიყავ,
ვის გულს მე არ ჩავექსოვე,
„მაგრამ მაინც ჩემი ღმერთი, ვერსად ვნახე, ვერსად ვპოვეო",

და მერე მთის ნიავს მიჰმართავს:

„ჩუმად! ჩუმად მთის ნიავო! ფრთა,
ფრთა ჩემს გულს არ შეახო,
„ეგებ ღმერთი ძილში მაინც, დამესიზმროს, დავინახოო

და ეს მისი ღმერთი მისი სატრფოა იდეალი, ოცნების საჭეთოში შექმნილი, რომელიც აქ ვერ ჰპოვა, და სწორედ აქ არის მთელი ტრაგიზმი გრიშაშვილის პოეზიისა. მასშია მოთხოვნილება ტრფობა-ალერსის, მაგრამ ვერ განხორციელებია. აქ მისი სულიერი განცდა ისე რთულია და ძლიერი, რომ ენით ვერ გამოუთქვამს. რომ გამოეთქვა, იქნებ მის „ოლოლსაც" გადაეხსნა მისთვის გულ-მკერდი, მიეცა ბინა „ტრფობის" მაძიებელ ადამიანისთვის; იქნებ მის „ოლოლის" მაშინ ეჩუქებინა ბაგე, რომელსაც ასე ემუდარება მგოსანი:

„გთხოვ სალოცავო, იმედის სხივო,
ბედის ვარსკვლავო, მკრთალო და ცივო,
„ისრად დამცხრილე... დამწვი,
დამდაგე,
„თუ დამავალებ, თავს განაცვალებ,
„ოღონდ მაჩუქე ეგ შენი ბაგე!...
შენი ჭირიმეო.

ენა უძლური გამოდგა იმ გრძნობის გადმოსაცემად, და აკი გრიშაშვილიც თვით ღმერთს შესჩივის თავის უძლურობას:

„ოხ ღმერთო ენა რა უძლურია,
„ვერ გამომითქვამს გულით რაცა მსურს,
„ისმინე! ტრფობა, ტრფობა მწყურია,
„ტრფობით გამოზრდილს, ტრფობით უსუსურს.

მაგრამ გრიშაშვილი მაინც ვერვის მიეკედლა, ობლად დარჩა. რა უყოთ რომ გრიშაშვილს ბევრმა გაუღიმა? რა უყოთ რომ ბევრჯელ მიიღო „ბარათი საარშიყო". ისინი ხომ საუკუნო სიყვარულს არ ჰპირდებოდნენ? გრიშაშვილს კი საუკუნო სიყვარული სწყუროდა. და როდესაც წუთიერი გატაცების შემდეგ მას ზურგი აქციეს, მაშინ ეს მწარე გოდება-და აღმოსკდა გულიდან:

„მაშ მითხარი, მაშ მითხარი, ეს წვრილი საარშიყო,
„რად მომიძღვენ? რას ფიქრობდი?
სად დასწერე? რა დრო იყო?

აქ კი სატრფო იცინოდა... სულ ხითხითებდა. და რა ნახა გრიშაშვილმა, რომ

„არ არსებს სიყვარული მუდმივი, საუკუნოო", მაშინ „ნახტომი" გააკეთა. თავი დაანება საუკუნო, სამარადისო სიყვარულის ძიებას თავი და თავის თავს უთხრა.

„სულო ჩემო, სულო ჩემო, ვის,
ვის უნდა უყვარდე?
„არ არსებობს სიყვარული მუდმივი, საუკუნოო

და განაგრძობს:

„ეხ მეც მყავდა ერთი ვარდი, ვყავდი უმანკოებს,
„ეხ მეც ვიყავ სიყვარულის მგოსანი ზეციერი,
„მაგრამ მეც დამარწმუნეს ქვეყნის ამაოებს,
„რომ მარტოდენ გატაცება არსებობს წუთიერიო".

ასეთია ისტორია გრიშაშვილის პოეზიისა. ასეთია ტრაგიზმი მისი სიყვარულისა, აქ გადატყდა გრიშაშვილს რწმენის შტო, აქ უარჰყო მუდმივი სიყვარული, აქ აქცია ზურგი ზე-ქალს, აქ აფარებს დავიწყების რიდეს თავის ყოფილ გულის ღმერთს „ოლოლს", და შემდეგ რას იტყვის, დაუცადოთ.

**ვახტანგ კოტეტიშვილი.**

**პეტერბურგი.** ზღვათა მინისტრი სევასტოპოლში გაემგზავრა.

**ვენა.** გაზეთების სიტყვით, ავსტრიისა და ჰუნგრეთის მინისტრებს თათბირი ჰქონდათ 3 და 4 თებერვალს შესახებ საეკონომიო საკითხებზე, ბალკანეთში მომხდარ ამბების გამო.

**პარიზი.** „ტანის“ ცნობით, სამინისტროს შეაქვს სამი კანონ-პროექტი ხმელეთისა და საზღვაო ძალთა გასაძლიერებლად. სამინისტრო თხოულობს 80 მილიონ ფრანკს სამხრო იარაღის შესაძენადა ⁊ 500 მილიონს —არტილერისთვის და ჰაერში ფრენისათვის.

დეპუტატთა პალატაში საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა განაცხადა, რომ საჭიროა საფრანგეთმა მხვერპლი მოიტანოს სამშობლოს დასაცავად, რადგანაც გერმანია ძლიერ გაძლიერდაო. ამას ცენტრი და მემარცხენენი ტაშით მიეგებნენ.

# დეპეშები

(დ პეშათა პეტერბ. სააგენტო)

4 თებერვალი.

## საზღვარ-გარედ

**ტოკიო.** „კოკუმინ-სიმბუნ“-ის რედაქციასთან მოკლულის დაკრძალვის დროს ბრბომ დემონსტრატიულად რედაქციის წინ გაიარა და კაცურას სახლისკენ გაემართა. პოლიციამ ბრბო შეაჩერა.

**რიმსბი.** ნავთსადგურის 2.000 მუშა გაიფიცა.

**პარიზი.** ფალიერი გამოეთხოვა ბრიანს და ჟონარს. ინგლისის ელჩმა ელჩების სახელით ფალიერს მადლობა გამოუცხადა დიდ სახელმწიფოებთან კეთილ-განწყობილების განმტკიცებისთვის.

## რუსეთი.

**ირკუტსკი.** ვაჭართა მამასახლისის თაოსნობით მოხდა მრავალ-რიცხოვანი კრება ლენის გზის მიმართულების თაობაზე. უმრავლესობამ სასურველად სცნო მიმართულება ირკუტსკ - ვერხოლენსკი - ბოდაიბო-ვლადივასტოკი.

ოლგინის მაზრაში ფოსტის გამძარცველნი შეიპყრეს.

**პეტერბურგი.** მსახიობი ქალი ვიალცევი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა რიგის ოლქის მზრუნველი პრუტჩენკო.

**ჰელსინგფორსი.** დეპუტატებმა მეხელინმა და ვრედემ სეიმში შეიტანეს პეტიცია, შეიმუშავონ პროექტი ფინლიანდიისა და იმპერიის ურთიერთობისა. მათვე ჰსურთ შეადგინონ უქვეშევრდომილესი პეტიცია შემუშავებულ პროგრამასთან ერთად. უნდა დაარსდეს ცალკე კომისია, რომელიც ამ საკითხს შეიმუშავებს და ხელმწიფე იმპერატორს წარუდგენს. შემდეგ პეტიცია წარედგინება სახელმწიფო სათათბიროს და ფინლიანდიის სეიმს.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს ლოცვის ტექსტი, უწმინდეს სინოდის დამტკიცებული, რომელიც 21 თებერვალს, რომანოვთა საგვარეულო დღესასწაულის დღეს იმპერიის ყველა ტაძრებში უნდა წაიკითხონ.

მიწათ-მოქმედების მთავარმა გამგემ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა დამტკიცოს საბჭომ სხვა ადგილებზე დასახლებულთა სასარგებლოდ გაცემული თანხა.

**მოსკოვი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი პეტერბურგში წავიდა.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა დააჯარიმა „რუსკაია მოლვის“ და „დენის“ რედაქტორები.

# უცხოეთი

**პოლიტიკური კრიზისი იაპონიაში.**

იაპონიაში საპოლიტიკო საქმეები ძალიან აიხლართა და საქმის სიმწვავე უკიდურესობამდე აღწევს. თითქმის ორი თვეა, რაც იაპონიის საზოგადოებას გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა ვერ უპოვნია. საქმის გართულება შარშან ნოემბერშივე დაიწყო, როცა მწვავე უკმაყოფილება აღმოცენდა საიონჯის პროგრესიულ კაბინეტსა ⁊ ბიუროკრატ-მილიტარისტულ პარტიის შორის. საიონჯის სამინისტრო ემყარებოდა ქვედა პალატის დიდ უმრავლესობას. მას ხალხი დიდის ნდობით და პატივისცემით ეკიდებოდა. მაგრამ ყოველივე მისი ცდა რეფორმის საქმეში დამარცხებით გვირგვინდებოდა, რადგანაც ზედა პალატაში გაბატონებული პარტია ბიუროკრატებისა, იყო, რომელიც ყოველ ნაბიჯზე სდევნიდა საიონჯის პროგრესიულს მოქმედებას. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საიონჯი ვერ შოულობდა სამხედრო მინისტრს, რომელიც კი მის კაბინეთის პოლიტიკის თანამოზიარე ყოფილიყო და შეეძლებოდა დაეცვა, სახელმწიფო ხარჯებში დამზოგველობა გამოეჩინა, საიონჯი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

იაპონიის ახალ კაბინეთის შედგენა ძალიან გაუჭირდა. პარტიათა ბრძოლა უფრო გამწვავდა. ბოლოს არჩევანი კაცურაზე შედგა. კაცურა ბიუროკრატების პარტიის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. გარდა ამისა კაცურა ძალიან მიღებული იყო ხალხში. სწორედ ამის იმედი ჰქონდათ ბიუროკრატებს, როცა კაცურას ახალი კაბინეთის შედგენა მიანდეს. იმედი ჰქონდათ, რომ კაცურა ადვილად შესძლებს გაუმკლავდეს, დაიმორჩილოს კიდეც ქვედა პალატის ოპოზიცია და ზედა პალატის ბიუროკრატიის ხელფეხშებოჭვილი ფეხქვეშ დაუგდოსო. მაშინ მათი სამკვიდრო პოლიტიკაც გაიმარჯვებდა და დაუზოგველად დაუწყებდნენ ფლანგვას.

მაგრამ საგულისხმო აქ სხვა რამ არის: ორ პარტიათა ბრძოლა როდი იყო შეზღუდული და როდი იყო მოქცეული პარტიულ ფარგლებში. ბრძოლა პარლამენტსა ⁊ კაბინეტს გასცილდა და ხალხს მოედო. ეს იმას ჰმოწმობს, რომ პოლიტიკური გაწვრთნილება და აღზრდა ხალხმა უკვე შეითვისა. კაცურას კაბინეთს ხალხი აღშფოთებით მიეგება, იმართებოდა მიტინგები, რომელნიც წყევა-კრულვას უთვლიდნენ კაცურას კაბინეთს და მის პოლიტიკას. კაცურას პოპულიარობამაც ვერ უშველა.

არც ბიუროკრატების მოლოდინი გამართლდა. ხალხის მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია ქვედა პალატის იმ ელემენტებზე, რომელნიც გამბედაობის და პირდაპირობის უნარს იშვიათად თუ არ იჩენდნენ.

ეხლა კონსტიტუციის დასაცავად ყველა პროგრესიული ელემენტი პარლამენტისა თუ ხალხისა შეიარაღდა. ბიუროკრატიასთან კომპრომისი ყოვლად შეუძლებელი იყო. კაცურა იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ საერთო უკმაყოფილებისთვის და თვისი პოლიტიკისთვისაც ელფერი შეეცვალა.

გაიმართა მოლაპარაკება კაბინეთსა და პალატას შორის, მაგრამ ამ ხერხმაც კაცურასთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. კაცურამ პალატაში განაცხადა: იაპონიის ხალხი საკმაოდ მომზადებულია საპარლამენტო წეს-წყობილებისთვისო. ამისთვის კაცურას მოქმედება პალატის უმრავლესობაზე იქნება დამყარებულიო. კაცურას პოლიტიკის მომხრენი ქვედა პალატაში მცირე რიცხოვანი იყვნენ. საჭირო იყო საკუთარ პარტიის შექმნა. ამისათვის კაცურამ 15 დღით შეაჩერა პარლამენტის მუშაობა და საკუთარ პარტიის დაარსებას შეუდგა. მაგრამ ამითიც ვერას გაჰხდა კაცურა. მის პარტიაში შევიდა მხოლოდ 70 კაცი. ოპოზიციაში განხეთქილება ვერ შეიტანა, იგი ისევ ძველებურის ძალით ეწინააღმდეგება კაცურას.

პალატის განახლებისას, უმრავლესობამ კაცურას კაბინეთს და პოლიტიკის უნდობლობა და გაკიცხვა გამოუცხადა. კაცურა თუ მართლა გულწრფელად აღიარებდა პარლამენტარიზმს, ამ პარლამენტარიზმის გულისთვის და მის დასაცავად უნდა გადამდგარიყო თანამდებობიდან. მაგრამ კაცურამ ეს არ ინება, სამაგიეროდ პარლამენტი კიდევ დაითხოვა. როგორც დეპეშებით ვიცით, კაცურას კაბინეთი იძულებული იყო გადამდგარიყო, რადგანაც მისმა პოლიტიკამ ფეხი ვერსად მოიკიდა. დეპეშებმა გვაცნობეს, რომ კაბინეთის შედგენა უკისრნია იამომოტოს. რა მიმართულებას დაადგება მთავრობის პოლიტიკა, ამას ახლო მომავალში დავინახავთ.

# რუსეთი

**მინისტრთა საბჭოში.**

31 იანვარს, კოკოვცევის თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომამ განაგრძელა სენატორ მანუხინის მოხსენების განხილვა, ლენის რევიზიის თაობაზე. მინისტრთა საბჭომ მოიწონა მოხსენება და მიიღო მანუხინის მიერ აღნიშნული ზომები ლენში საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად: ამურის მხარისა და ირკუტსკის სამთო ოლქის დამოუკიდებელ უწყების დაარსება. ოქროს სამრეწველოს მუშათა საქმეს უნდა განაგებდეს ცალკე უწყება. დაარსება ოლქის ინჟენერის თანამდებობა ვიტიმსკის სამთო ოლქში. ირკუტსკის გუბერნიაში უნდა დაარსდეს ბოდაიბოს ოლქი, რომელშიაც შევლენ ოლეკმინის და ვიტიმსკის ოლქები. ლენის ოქროს სამრეწველოებზე გავრცელდეს 4 აპრილის 1912 წლის ნიკაზი. საჭიროა გადათვალიერდეს სამთო უწყების არსებული წესდება. საჭიროა გადათვალიერდეს მომქმედი წესები 1895 წლისა. ამ წესებიდან უნდა გამოირიცხოს მუხლი, რომელიც მუშას ოქროს სამრეწველოში ყოველნაირ მუშაობის შესრულებას აკისრებს. უნდა შეიცვალოს მუშებთან ანგარიშის გასწორების წესი. უნდა მოწესრიგდეს საზოგადოების უფლების საკითხი, შესახებ განსაზღვრულ ვადამდე მუშების დათხოვნისა. მუშათა ცხოვრების უზრუნველყოფა ავადმყოფობის დროს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილის გარდა მანუხინს სასურველად მიაჩნია ლენის რაიონის გზის შტატი სიბირის მთავარ ლიანდაგს შეუერთდეს ბოდაიბოსა ⁊ ირკუტსკს შუა. მინისტრთა საბჭომ სენატორ მანუხინის მოხსენება უცვლელად მიიღო და ხელმწიფეს წარუდგინა.

**სათემო ერობა.**

საბჭოს სათემო ერობის კომისიაში შინაგან საქმეთა მინისტრმა ლიკოშინმა განაცხადა, რომ ახალი მინისტრი მაკლაკოვი სავსებით ეთანხმება მინისტრად ნამყოფ მაკაროვს სათემო ერობის საკითხში. როგორც ვიცით საშობაო დღესასწაულების წინ კომისიამ ამ საკითხის განხილვა გადასდო იმ დრომდე, სანამ ახალ მინისტრის აზრს არ გაიგებდნენ. მაგრამ მემარჯვენეებმა აღნიშნეს, რადგანაც სათათბიროს აზრი არ ვიცით სათემო ერობის საკითხზეო, საბჭოს კომისიას უბრალო შრომა მოუნდებაო. ისინი წინადადებას იძლევიან, ეს საკითხი სახელმწიფო საბჭოს საერთო სხდომას გადასცენ. კამათის შემდეგ გადასწყვიტეს სათემო ერობის განხილვა გადასდონ მანამდე, სანამ არ გამოირკვევა სათათბიროს აზრი ამ საკითხზე.

**პეტერბურგის უნივერსიტეტში**

პირველ თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა „დანიშნულმა“ პროფესორმა როზინმა. ლექციას 12 სტუდენტი დაესწრო. იმავე აუდიტორიაში 12 საათიდან ლექციას კითხულობდა პროფესორი ფონიცკი. აუდიტორია სტუდენტებით გაჭედილი იყო. ლექციის გათავებისას სტუდენტებმა ოვაციები გაუმართეს და ადრესი მიართვეს, რითიც აცხადებდნენ წუხილს მის უნივერსიტეტიდან წასვლის გამო. საფიზიკო ინსტიტუტში კითხულობენ ლექციებს „დანიშნული“ პროფესორები: ნიკონოვი და უდინცოვი. მათ პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავს.

# თეატრი და ხელოვნება

**„ავლაბრის წრე“.** ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობამ დაადგინა: 10 თებერვალს ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეში მიიღოს მონაწილეობა. იუბილარის მისალოცად გამგეობამ ამოირჩია მსახიობი ი. ივანიძე, თ. ნასიძე და ა. ლანდია. ამ დღეს ავლაბრის სახალხო თეატრში წარმოდგენა არ შესდგება.

ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობამ 4 თებერვალს, დანიშნა საგანგებო კრება, რომელზედაც დაადგინა მონაწილეობა მიიღოს საყვარელ მსახიობ **ვლადიმერ მესხიშვილის იუბილეში** და შესაფერი ადრესი მიართვას. დეპუტატებად აირჩიეს სამი კაცი.

ამავე კრებამ გარდასწყვიტა დაესწროს არაქსინის იუბილეს და სიტყვა სთქვას.

**სახაზინო თეატრი.** დღეს ჩვენი თანამემამულე **მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დ'არიალი)** სახაზინო თეატრში გასტროლად არის მოწვეული. დასდგავენ „კარმენს“. ნანობაშვილი კარმენის როლს იმღერებს.

**ქ. გორი.** კვირას, 17 თებერვალს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში, გაიმართება „სალამო-მეჯლისი“

# წერ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც აღმოუჩინეს დახმარება სვიმონეთის უფასო სამკითხველოს: ან. ყიფიანისამ—1 მ., გ. ყიფიანმა—1 მ., ს. იაშვილმა—1 მ., კნ. მაჩაბელისამ—1 მ., ე. გოგიჩაიშვილისამ—1 მ., ელ. გ.—50 კ. მ., გ.—50 კ., ელ. გ.—50 კ., ს. გ.—50 კ., ელ. სულხანიშვილისამ—50 კ., დ. კარიჭაშვილის მიერ შეგროვილი: ალ. მდივანი—50 კ., ქადაგიძე—50 კ., დ. კილოსანიძე—45 კ., ნ. ახმეტელი—20 კ., ა. მიქაბერიძე—20 კ., ს. გულისაშვილი—50 კ., ი. მონადირიშვილი—50 კ., ა. თოთიბაძე—25 კ., დ. პარკაძე—30 კ., შ. ქარუმიძე 30 კ., ნ. ბაქრაძე—50 კ., თ. ლომაური—50 კ., ი. რატიშვილი—1 მ., დ. კარიჭაშვილი—50 კ., სულ 13 მან. 70 კაპ., წინანდელთან ერთად შესდგა 27 მან.

**ეფროსინე კლდიაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106, საღ. 7 ს 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. ს. 7 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, ღამ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: ს.ხ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში. სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 4 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს; სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 8 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუაღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, სახ. შუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, ორის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასი ი, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.** და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის:**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფლეხაინის აღმართზე, 1, ტელ. 419).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 880).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ბატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 1, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინინა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 16.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—და 3. **ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ჭრ. ლ. ქა.-რანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 40, ტელ. 645).
6. 11—12 **ვ. ა. მირაჭოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მარკნის მოედანზე.

# განცხადებანი


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად,**

ა. ა. **ნავასარდიანი**: 11—12 ს. კანის, ვენერიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
მ. გ. **ალახვერდოვი**: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. **ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. **ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. **მელიქიანი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. **მელიქსეტიანი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. **ასრატიანი**: 12—1 ს. შინაგანი და სხვადასხვა ავრ.
ექიმი ქალი ე. ნ. **ამბრუმოვა-მელიქ ბეგი**: 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

მ. გ. **მელიქსეტიანი**: 6—7 საათ.
**ექიმი ქალი გ. ლ. რენინგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნ ავასარდიანი.** 1104

## მუხრანის კერძო სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 376.** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | | **დილით:** |
|---|---|---|
| [illegible] | **სპეკტიორი გ. მ.** | 8½—9½ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ლ.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | 12½—1½ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | 9½—10½ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| [illegible] | **ექიმი-ქალი საყვარელიძე ლ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | 12½—1½ ს. |
| [illegible] | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 12½ ს. |
| [illegible] | **შაპელნიკოვი გ. ი.** | 1½—2½ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძმველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები, და ყოველგვარი კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

შავი ხიზილალა